

საქართველოს მთავრობის კრიზისული კომუნიკაცია ახალი  
კორონავირუსის პანდემიის პირობებში

თამთა ბატიაშვილი, სოფიო ბერიაშვილი, სალომე ეპიტაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე გურული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

„ვაცხადებთ, რომ ნაშრომი „მთავრობის კრიზისული კომუნიკაცია პანდემიის დროს“ წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის ნაშრომში მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თამთა ბატიაშვილი, სოფიო ბერიაშვილი, სალომე ეპიტაშვილი

03/07/2020

## აბსტრაქტი

2020 წელს ახალმა კორონავირუსმა მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ მოქალაქეების უსაფრთხოება და ქვეყნის სტაბილურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული კრიზისული კომუნიკაციის ეფექტიანობაზე.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ნაშრომი აფასებს, რამდენად გაუმკლავდა ამ გამოწვევას საქართველო. კვლევის მიზანია, საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული კრიზისული კომუნიკაციის შეფასება. საკვლევი კითხვაა - რამდენად ეფექტიანად მოახერხა კორონავირუსის დროს საქართველოს მთავრობამ კრიზისული კომუნიკაციის განხორციელება. მასზე პასუხის მისაღებად, ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა საზოგადოების აზრის გამოკითხვის ინსტრუმენტის - ნახევრად დახურული კითხვარის გამოყენებით და ჩაღრმავებული ინტერვიუ, როგორც დარგის ექსპერტთა მოსაზრებების, ასევე მთავრობის პოზიციის დასადგენად.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად რიგი ხარვეზებისა, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული კრიზისული კომუნიკაცია იყო ეფექტიანი - ამას მოწმობს საზოგადოების გამოკითხვისა და ექსპერტთა შეფასების ანალიზი.

ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციებიც, რომლებიც შეიძლება დაეხმაროს ინფორმაციულად როგორც კომუნიკაციის სპეციალისტებს, ასევე საქართველოს მთავრობას კრიზისებთან ბრძოლასა და კრიზისული კომუნიკაციის გეგმის შემუშავებაში.

**საკვამო სიტყვები: კრიზისი, კრიზისული კომუნიკაცია, პანდემია, კორონა, მთავრობა**

## **Abstract**

In 2020, the new coronavirus COVID-19 has shown the world that the safety of citizens and the stability of the country significantly depends on the effectiveness of crisis communication implemented by the government.

Given the relevance of the topic, the thesis assesses how Georgia has handled this challenge. The aim of the research is to evaluate the crisis communication implemented by the Georgian government. The main research question is how effectively the Georgian government managed to implement crisis communication during the coronavirus. In order to answer this question, we conducted a research and used two methods: a survey to understand the public opinion and in-depth interview – to determine the views of experts of the field, as well as the position of the government.

The study found that despite a number of shortcomings, the crisis communication implemented by the government of Georgia was effective – as evidenced by the analysis of public opinion polls and expert assessments.

The thesis also provides recommendations that can be informatively helpful for communication specialists, as well as for the Georgian government in fight against the crises and the development of a crisis communication plan.

**Keywords: Crisis, Crisis Communication, Pandemic, Coronavirus, Government**